ტირანას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის
მინისტრთა კონფერენცია

29-30 მაისი, 2024

ბოლო 25 წლის განმავლობაში, ჩვენ, უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები, სტუდენტებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და პერსონალთან ერთად, უფრო დავახლოვდით და ერთად ავაშენეთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე (EHEA). 2020 წელს რომში, მინისტრთა კონფერენციაზე, ჩვენ შევთანხმდით საერთო ხედვაზე უფრო ინკლუზიური, ინოვაციური და ურთიერთდაკავშირებული უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შესაქმნელად.[1] ოთხი წლის შემდეგ ჩვენ შევიკრიბეთ აქ, ტირანაში, რათა შევაფასოთ მიღწეული პროგრესი და განვსაზღვროთ შემდგომი ნაბიჯები 2030 წლისთვის აღნიშნული ხედვის სრულად განსახორციელებლად. შეთანხმებული ვალდებულებების შესრულება მოითხოვს ყველა წევრისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარის მუდმივ ჩართულობას და მონაწილეობას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ყველა მსურველის წვდომა და მხარდაჭერა ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღებისა და დასრულების მიზნით, რაც ჩვენ ფუნდამენტურ ღირებულებებს ეფუძნება.

მსოფლიო რთული და ურთიერთდაკავშირებული გეოპოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური გამოწვევების წინაშე დგას. ამ გამოწვევებს შორისაა მზარდი პოლარიზაცია და უთანასწორობა ხალხებს, თემებსა და რეგიონებს შორის. უმაღლესი განათლება, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე და საზოგადოების გარდამქმნელი ძალა, შეუცვლელ როლს თამაშობს ამ გამოწვევების გადაჭრასა და დემოკრატიული საზოგადოებების ხელშეწყობაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა წარმოადგენდნენ ღია აზროვნებისა და მრავალფეროვნების უსაფრთხო სივრცეებს და უნდა ცდილობდნენ ხელი შეუწყონ კრიტიკულ აზროვნებას, ტოლერანტობას, ძალადობის აღმოფხვრას, მეცნიერებაზე დაფუძნებულ დიალოგს და სხვადასხვა პერსპექტივის მშვიდობიან გაცვლას სწავლის, სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის მეშვეობით.

კერძოდ, ჩვენ რეგიონში, რუსეთის ფედერაციის უკრაინაზე შეიარაღებულმა თავდასხმამ, ბელარუსის მხარდაჭერით და საერთაშორისო სამართლის დარღვევით, წარმოშვა უკრაინის უმაღლესი განათლების საერთაშორისო მხარდაჭერის აუცილებლობა და დაადასტურა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ღირებულებების მუდმივი შენარჩუნებისა და დაცვის აუცილებლობა. ჩვენ მტკიცედ ვდგავართ უკრაინისა და მისი უმაღლესი განათლების საზოგადოების გვერდით და გადავწყვიტეთ, რომ შევინარჩუნოთ

[1] https://www.ehea.info/Upload/Rome_Ministerial_Communique.pdf

რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის მონაწილეობის უფლებების შეჩერება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყველა სტრუქტურასა და საქმიანობაში.[2]

ფუნდამენტური ღირებულებები

უმაღლეს განათლებას შეუძლია სრულად შეასრულის საკუთარი მისია მხოლოდ მაშინ, როდესაც პატივს დაცულია მისი ფუნდამენტური ღირებულებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ღირებულებებს ახლა უფრო მეტად ემუქრება საფრთხე, ვიდრე ათწლეულის ან თუნდაც ოთხი წლის წინ, ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას, რომ დავიცვათ, ხელი შევუწყოთ და გავაძლიეროთ აკადემიური თავისუფლება, როგორც ეს განსაზღვრულია რომის კომუნიკეში. გარდა ამისა, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ დავიცავთ, ხელს შევუწყობთ და გავაძლიერებთ შემდეგ ღირებულებებს:

- ჩვენ გვესმის **აკადემიური კეთილსინდისიერება**, როგორც ქცევისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა აკადემიურ საზოგადოებაში, რომელიც ახდენს სწავლის, სწავლების, კვლევის, მმართველობის, კომუნიკაციისა და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ეთიკური და პროფესიული პრინციპებისა და სტანდარტების ინტეგრირებას და ხელშეწყობას;

- ჩვენ გვესმის **ინსტიტუციური ავტონომია,** როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ნება და უნარი, შეასრულონ საკუთარი მისია ზედმეტი ჩარევის გარეშე და განსაზღვრონ და განახორციელონ საკუთარი პრიორიტეტები და პოლიტიკა ორგანიზების, ფინანსების, პერსონალის და აკადემიური საკითხების შესახებ;

- **სტუდენტებისა და პერსონალის უმაღლესი განათლების მართვაში მონაწილეობა** მოიცავს მათ უფლებებს, რომ ორგანიზდნენ დამოუკიდებლად, პარტნიორობისა და კოლეგიალურობის პრინციპის შესაბამისად, ზეწოლისა და არასათანადო ჩარევის გარეშე; აირჩიონ და არჩეული იქნენ ღია, თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში; გამოთქვან მოსაზრებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება; მონაწილეობა მიიღონ ყველა მმართველი ორგანოს დებატებსა და გადაწყვეტილებების მიღებაში და მოახდინონ საკითხების ინიცირება; მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით სათანადოდ ჩაერთონ შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სისტემის მართვისა და შემდგომი განვითარების საკითხებში;

- **უმაღლეს განათლებაზე საჯარო პასუხისმგებლობა** ნიშნავს მოვალეობების

[2] ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის (BFUG) შეხვედრის გადაწყვეტილება LXXX 11 აპრილი, 2022, https://www.ehea.info/page-bfug-meeting-80.

ერთობლიობას, ძირითადად, ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემის დონეზე, რაც საჯარო ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს, როგორც განათლების სექტორისა და მთლიანად საზოგადოების წინაშე მისი საერთო პასუხისმგებლობის ნაწილი;

- **უმაღლესი განათლების საჯარო პასუხისმგებლობა** ნიშნავს უმაღლესი საგანმანათლებლო საზოგადოების ვალდებულებებს იმ ფართო საზოგადოების წინაშე, რომლის ნაწილიც არის უმაღლესი განათლების საზოგადოება.

ჩვენ ვიღებთ განცხადებებს ფუნდამენტური ღირებულებების შესახებ, რომლებიც თან ერთვის ამ კომუნიკეს.[3] იმის მიუხედავად, რომ თითოეული ღირებულება არსებითია, ექვსივე მათგანი უნდა განხორციელდეს სრულად, როგორც თანმიმდევრული მთლიანობა. რადგან საჭიროა ყველა საგანმანათლებლო სისტემაში მათი განხორციელების საიმედო მონიტორინგი, ჩვენ მივესალმებით ტექნიკური მონიტორინგის ჩარჩოს შექმნაზე მუშაობას და ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ წარმოგვიდგინოს ანგარიში 2027 წლის მინისტრთა კონფერენციაზე.

ძირითადი ვალდებულებები

როგორც პარიზში 2018 წელს, ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენ სამ ძირითად ვალდებულებას, რომლებიც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წარმატებით განვითარებისა და ინოვაციების დამკვიდრების წინაპირობაა. ეს ვალდებულებებია:

- პროგრამებისა და ხარისხების სამსაფეხურიანი სისტემის დანერგვა[4], რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებს და კრედიტების გადაცემისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS) და თავსებადია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან (QF-EHEA);

- უმაღლესი განათლების მთელ ევროპულ სივრცეში კვალიფიკაციების აღიარების მხარდაჭერა, ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების შესახებ კონვენციის (ლისაბონის კონვენცია) პრინციპების დაცვით და მუშაობა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ავტომატური აღიარების მიმართულებით; და

- უმაღლეს განათლებაში ხარისხის კულტურის მხარდაჭერა, რაც ხელს უწყობს

[3] იხილეთ დანართი 1.

[4] უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის საკვალიფიკაციო ჩარჩოში სრულად ინტეგრირებული მოკლე ციკლის ჩათვლით, თუ წარდგენილია.

მიზანთან შესაბამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს, რომლებიც თავსებადია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESGs).

ბოლონიის პროცესის განხორციელების 2024 წლის ანგარიში ადასტურებს და ასახავს ამ ძირითადი ვალდებულებების ჯერ კიდევ არასრულყოფილ და არათანაბარ შესრულებას, ასევე სიტუაციის გაუმჯობესებისათვის ბოლონიის პროცესის განხორციელების საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელობით თემატური კოლეგიალიური ჯგუფების მნიშვნელოვან წვლილს. ამიტომ, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ დავრწმუნდეთ, რომ გვაქვს, ანდა შევიმუშავებთ და გამოვაქვეყნებთ შესაბამის სამოქმედო გეგმებს, რათა აღმოვფხვრათ განხორციელებისას არსებული ნებისმიერი ხარვეზი და ხელი შევუწყოთ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესთან დაკავშირებული ცოდნის გაზიარებას.

რადგან ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბოლონიის პროცესის ინსტრუმენტები განვითარდა, ჩვენ გადავცემთ მანდატს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ იმუშაოს მათ სამომავლო განვითარებაზე, გავრცელებასა და შესაძლო გაფართოებაზე. კრედიტების გადაცემისა და დაგროვების ევროპული სისტემის დანერგვის, მათ შორის, სწავლის შედეგების მხარდაჭერისთვის, ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს მოვუწოდებთ, რომ 2027 წლამდე გადახედოს კრედიტების გადაცემისა და დაგროვების ევროპული სისტემის მომხმარებელთა 2015 წლის სახელმძღვანელოს, გააძლიეროს მისი ძირითადი მახასიათებლები და მოარგოს მიმდინარე მოვლენებს, მათ შორის, მიკროსერტიფიკატებს.

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენება ხელს უწყობს ნდობას და გამჭვირვალობას, მათ შორის, ანგარიშვალდებულებასა და გაუმჯობესებას უმაღლესი განათლების სისტემებში. იმისათვის, რომ ეს სახელმძღვანელო მითითებები შეესაბამებოდეს მიმდინარე მოვლენებს, გამოწვევებსა და მოლოდინებს, ჩვენ მოვუწოდებთ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ავტორებს[5], რომ 2026 წლისთვის ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს შესთავაზონ განახლებული ვერსია, რომელიც მიღებული იქნება ჩვენ მიერ 2027 წლის მინისტრთა კონფერენციაზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ ევროპული მიდგომის კორექტირება. ჩვენ ასევე გავაძლიერებთ მსოფლიოს მასშტაბით

[5] ძირითადი ავტორები არიან ENQA, ESU, EUA და EURASHE - E4 ჯგუფი, Business Europe, EI-ისთან და EQAR-თან თანამშრომლობით.

უზრუნველყოფილი ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის გამჭვირვალედ უზრუნველყოფას უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, სტუდენტების ინტერესების დაცვის მიზნით.

გარდა ამისა, ჩვენ მზად ვართ დავუპირისპირდეთ დიპლომებისა და აკრედიტაციების ქარხნებს, ყალბ კვალიფიკაციებს და აკადემიური თაღლითობის სამსახურებს, რაც უფრო ხელმისაწვდომი გახდება ციფრული სფეროს განვითარების შედეგად. ჩვენ ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ ეფექტიანად გამოიყენოს განათლებაში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების შესახებ ევროპის საბჭოს პლატფორმის (ETINED)[6] მიერ შესრულებული სამუშაო და ევროპის საინფორმაციო ცენტრების და ევროკავშირში აკადემიური აღიარების ეროვნული საინფორმაციო ცენტრების (ENIC-NARIC) ქსელები ამ გამოწვევების გადასაჭრელად და აკადემიური კეთილსინდისიერების დასაცავად.

უმაღლესი განათლების ინკლუზიური ევროპული სივრცე

ჩვენ ვადასტურებთ 2030 წლისთვის უმაღლესი განათლების ინკლუზიური ვროპული სივრცის შექმნის მნიშვნელობას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს შეკრული, მდგრადი და მშვიდობიანი ევროპა, სადაც სტუდენტებს სწავლის ყველა ეტაპზე ექნებათ სრული მხარდაჭერა, უმაღლესი განათლების მიღებისა და დასრულების პოლიტიკის მეშვეობით, მათი წინაისტორიის ან საწყისი ცოდნის განურჩევლად.

2020 წლის რომის კომუნიკეში უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სოციალური ასპექტების გაძლიერების პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების[7] მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ამ მიმართულებით, მაგრამ საჭიროა უფრო მეტი, 2030 წლისთვის მათი განხორციელების უზრუნველსაყოფად. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ შევაფასოთ მათ განხორციელებაში მიღწეული პროგრესი და ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ 2027 წელს წარმოადგინოს ანგარიში ამის შესახებ. გარდა ამისა, ჩვენ მხარს ვუჭერთ დოკუმენტს: "უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში უმაღლესი განათლების სოციალური ასპექტების პრინციპების ინდიკატორები და აღწერები"[8], როგორც უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში სოციალური ასპექტების პირველ ყოვლისმომცველ და კონსოლიდირებულ ჩარჩოს. ამავდროულად,

[6] ევროპის საბჭოს პლატფორმა განათლებაში ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების შესახებ (ETINED).
[7] https://ehea.info/Upload/Rome_Ministerial_Communique_Annex_II.pdf
[8] Link to Indicators and Descriptors for the Principles of the Social Dimension of Higher Education in the EHEA.

ჩვენ ხელს ვუწყობთ მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებას შესაბამის ინიციატივებში მონაწილეობით, როგორიცაა “ევროსტუდენტი” (Eurostudent).

სტუდენტების კეთილდღეობა აღქმული უნდა იყოს ფართო გაგებით, მათ შორის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით, რომლებიც ხშირად ურთიერთდაკავშირებულია. სოციალურ-ეკონომიკურმა გამოწვევებმა, როგორიცაა ცხოვრების ფასის ზრდა და სტუდენტურ საცხოვრებელზე წვდომის სირთულე, გავლენა მოახდინა უმაღლეს განათლებაზე და მთლიანად სტუდენტურ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით სტუდენტების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ჩვენ, დაინტერესებულ მხარეებთან და საზოგადოებებთან ერთად, ვიღებთ ვალდებულებას, რომ გავუმკლავდეთ ამ გამოწვევებს, უზრუნველვყოთ სტუდენტების მხარდაჭერის სამსახურებზე ხელმისაწვდომობა, ინკლუზიური სასწავლო გარემო (მათ შორის ციფრული), გენდერული თანასწორობა და სხვა ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს სწავლის არაპირდაპირი ხარჯების დაფარვაში.

გლობალურად იზრდება ლტოლვილთა და დევნილთა რიცხვი, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ. მათ შორის არიან სტუდენტები და აკადემიური პერსონალი. ევროპა ერთ-ერთი უსაფრთხო დანიშნულების ადგილია და უმაღლესი განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენ საზოგადოებებში მათ ინტეგრაციაში. ლტოლვილების მხარდასაჭერად და მათი უნარებისა და პოტენციალის მაქსიმალურად გამოსაყენებლად, ჩვენ გავაძლიერებთ ძალისხმევას მათი კვალიფიკაციის აღიარებისა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის ბარიერების აღმოსაფხვრელად, მათ შორის ENIC-NARIC ქსელების მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით, ევროპის საბჭოს მიერ ლტოლვილთა ევროპული საკვალიფიკაციო პასპორტის (EQPR) გამოყენებით და ლისაბონის აღიარების კონვენციის კომიტეტის მიერ მიღებული ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებულ პირების და ლტოლვილების მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების კვალიფიკაციის აღიარების შესახებ 2017 წლის რეკომენდაციის შესაბამისად.

უმაღლესი განათლების ინოვაციური ევროპული სივრცე

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს ასევე სჭირდება რეაგირება მიმდინარე ცვლილებებზე, რაც გამოწვეულია სოციალური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, გარემოსდაცვითი და ტექნოლოგიური განვითარებით. სამყარო სწრაფად იცვლება და ამას მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს უმაღლესი განათლებისთვის. მწვანე და ციფრული ტრანსფორმაციები საჭიროებს უპრეცედენტო ინოვაციებს ახალი ტექნოლოგიებით, პროცესებითა და პრაქტიკით, რათა ხელი შეეწყოს პოზიტიურ ცვლილებებს, ასევე - უფრო მოწინავე და ყოვლისმომცველ ცოდნასა და უნარებს, მოსწავლეთა ცნობიერების

ამაღლებას, ჩართულობას და პასუხისმგებლობას.

მისიის შესასრულებლად და ადეკვატური რეაგირებისთვის საჭიროა უმაღლესი განათლების მდგრადი დაფინანსება, არსებული პოლიტიკისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესება და კორექტირება და ახლის შემუშავება. ეს მოიცავს განათლების უზრუნველყოფის ახალ მოდალებს, როგორიცაა მიკროსერტიფიკატები, ერთობლივი პროგრამების გაძლიერებული გამოყენება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეწარმეო და ინოვაციური შესაძლებლობების მხარდაჭერა. ჩვენ მხარს დავუჭერთ მათ საზოგადოებაში და ადგილობრივ თემებში მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მისაღწევად მათი წვლილის გაძლიერებაში, უმაღლესი განათლების სფეროში მწვანე ტრანსფორმაციაში, მიმდინარე დიგიტალიზაციასა და ფიზიკური და ვირტუალური სწავლისა და სწავლების კომბინირებაში. ჩვენ ასევე უზრუნველვყოფთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის და კვლევის ევროპული სივრცის (ERA) სინერგიას.

საზოგადოებაში უწყვეტი განათლების/სწავლის საჭიროება იზრდება, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ესაჭიროება ან სურს ახალი კომპეტენციების შეძენა საკუთარი პროფესიული, პირადი ან სამოქალაქო პოტენციალის გასაუმჯობესებლად. სწავლის საშუალებები უნდა იყოს მოქნილი, სათანადოდ მიწოდებული, ხარისხიანი და აღიარებული. მათ ხელი უნდა შეუწყონ ჩართულობას, უნარების გაუმჯობესებას და ახალი კვალიფიკაციების შეძენას, მოსწავლეთა, ცვალებადი საზოგადოებებისა და შრომის ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად. ეს ასევე მოიცავს წინასწარი სწავლის აღიარებას და განათლების უზრუნველყოფის ახალ ფორმებს, როგორიცაა მიკრო სერტიფიკატები. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ ხელი შევუწყოთ ყველა მოქნილ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას.

სტუდენტებს ესაჭიროებათ მაღალი ხარისხის, მოსწავლეზე ორიენტირებულ და ინოვაციურ სწავლასა და სწავლებაზე წვდომა, მათი საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად, რათა განავითარონ გლობალური გამოწვევების დაძლევისთვის საჭირო კომპეტენციები. ეს მოითხოვს, რომ მათ განივითარონ მრავალმხრივი და მომავალზე ორიენტირებული უნარები, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, ასევე სამოქალაქო კომპეტენციები, რათა შეძლონ დემოკრატიულ საზოგადოებაში და სწრაფად ცვალებად შრომის ბაზარზე აქტიური მონაწილეობა. ამ მოვლენების ფონზე, ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ყველა მოსწავლისთვის რეალობად იქცევა, ინდივიდუალური სტუდენტების სწავლების და კვლევაზე დაფუძნებული სწავლის გაძლიერებით, ეფექტიანი მხარდაჭერით და ხელმძღვანელობით და ინტერდისციპლინური სწავლების მიდგომების მეშვეობით.

ჩვენ ვაღიარებთ მასწავლებელთა გადამწყვეტ როლს მაღალი ხარისხის, მოსწავლეზე ორიენტირებული და ინოვაციური სწავლისა და სწავლების მხარდაჭერაში. სწავლება უნდა განიხილებოდეს კვლევისა და სხვა პროფესიული ამოცანების, მათ შორის ტრანსნაციონალური თანამშრომლობისა და საზოგადოების ჩართულობის ეკვივალენტურად. ამისათვის ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ ადეკვატური და მიმზიდველი სამუშაო პირობები, პერსონალის განვითარების შესაძლებლობები და შეფასება და კარიერული წინსვლა შესაბამისი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების საფუძველზე.

ხელოვნური ინტელექტი გავლენას ახდენს ჩვენ საზოგადოებებზე და ეკონომიკაზე, ასევე სწავლაზე, სწავლებაზე, შეფასებასა და კვლევაზე. საჭიროა არსებული მდგომარეობის ადაპტაცია და ახალი პრაქტიკისა და პოლიტიკის განვითარება ინსტიტუტებისა და სისტემების დონეზე, შესაძლებლობების, რისკებისა და გამოწვევების სათანადო გათვალისწინებით. კერძოდ, აუცილებელია ეთიკური მოსაზრებების გათვალისწინება ხელოვნური ინტელექტის პროგრამების შემუშავებისა და დანერგვისას. მისი გამოყენება უნდა იყოს მიკერძოებისგან თავისუფალი, უზრუნველყოფდეს ადამიანის გადაწყვეტილების უპირატესობას, მონაცემებთან დაკავშირებული ეთიკის და კონფიდენციალურობის და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას. საჭიროა სტუდენტებისა და პერსონალის დახმარება, რათა მათ ხელოვნური ინტელექტი პასუხისმგებლობით გამოიყენონ. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ მხარი დავუჭიროთ ხელოვნური ინტელექტის ეთიკურ, სანდო, პასუხისმგებლიან და უფლებებზე დაფუძნებულ გამოყენებას სწავლისა და სწავლების პროცესში და კვლევის პრაქტიკაში, რათა უზრუნველვყოთ გამჭვირვალობა, სამართლიანობა, სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობა და კეთილდღეობა. ჩვენ ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ განიხილოს ციფრული ტრანსფორმაციის და ხელოვნური ინტელექტის უფრო ფართო და გრძელვადიანი გავლენა უმაღლეს განათლებაზე, მათ შორის უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში, განსაკუთრებით ბოლონიის პროცესის ინსტრუმენტების ძირითად ვალდებულებებთან დაკავშირებით.

უმაღლესი განათლების ურთიერთდაკავშირებული ევროპული სივრცე

ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენ ვალდებულებას, რომ საშუალება მივცეთ ყველა მოსწავლეს, შეიძინოს საერთაშორისო და ინტერკულტურული კომპეტენციები. ვინაიდან ურთიერთდაკავშირებული უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის დამახასიათებელი ნიშანია სტუდენტებისა და პერსონალის უწყვეტი მობილობა, ჩვენ გავაძლიერებთ ძალისხმევას ბარიერების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის და

ფიზიკური მობილობის ხელშეწყობის მიზნით, რათა მივაღწიოთ მობილურ სტუდენტთა მინიმუმ 20%-ს. ჩვენ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს გადავცემთ მანდატს, რომ მოამზადოს სამოქმედო გეგმა უმაღლესი განათლების მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის სტიმულირებისთვის და მხარი დაუჭიროს ღონისძიებებს უფრო მწვანე, ინკლუზიური და დაბალანსებული მობილობის მისაღწევად.

ჩვენ ვაღიარებთ მონაცემთა უწყვეტი და უსაფრთხო გაცვლის მთავარ როლს აღიარების, ხარისხის უზრუნველყოფისა და მობილობის გაძლიერებაში და თავსებადობის სტანდარტების ჩამოყალიბებაში, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტების წვდომას მობილობის შესაძლებლობებსა და დამხმარე სერვისებზე, როგორიცაა ევროპის სტუდენტური ბარათის ინიციატივა და სხვა ინიციატივები.

რადგან ყველა სტუდენტს და პერსონალის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ ისარგებლოს ფიზიკური მობილობით, ჩვენ მხარს დავუჭერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შერეული მობილობისა და ვირტუალური გაცვლის პრაქტიკისა და სარგებლის შესწავლაში და სასწავლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობაში. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ მხარი დავუჭიროთ ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას, მათ შორის ერთობლივი პროგრამების განსახორციელებლად და ერთობლივი ხარისხების მისაღებად, ძირითადი მოვალეობების უკეთ შესრულებით და არასათანადო ადმინისტრაციული და სამართლებრივი ბარიერების აღმოფხვრით. ამ კუთხით, ჩვენ მივესალმებით ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავებას და ინსტიტუციონალიზაციას, რომელსაც მხარს უჭერს "ერასმუს+" პროგრამა, ბოლონიის პროცესის ინსტრუმენტებისა და ვალდებულებების საფუძველზე და დაცვით. ინიციატივები სხვადასხვა დონეზე, მათ შორის ევროპის უნივერსიტეტების ალიანსები, ქმნის ახალ შესაძლებლობებს აკადემიური საზოგადოებისთვის და ეს უნდა მოიცავდეს სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების ყველა პროცესში. ჩვენ ცნობად ვიღებთ ევროკომისიის შეტყობინებას ევროპული ხარისხის გეგმის შესახებ[9] და მოუთმენლად ველით უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესთან სინერგიის შესწავლას.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენ ვალდებულებას, რომ კვალიფიკაციისა და სწავლის პერიოდების ავტომატური აღიარება საზღვარგარეთ ყველა სტუდენტისა და კურსდამთავრებულისთვის რეალობად იქცეს, მივესალმებით აღიარების ევროპული სივრცის (EAR) სახელმძღვანელოს გადახედვას და ENIC-NARIC ქსელების მიერ

[9] კომისიის შეტყობინება ევროპარლამენტის, საბჭოს, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტისა და რეგიონების კომიტეტისთვის 2024 წლის 27 მარტის ევროპული ხარისხის გეგმის შესახებ (europa.eu).

შემუშავებული სხვა ინსტრუმენტების გამოყენებას. ჩვენ გავაგრძელებთ ხარისხის უზრუნველყოფისა და გამჭვირვალობის ინსტრუმენტების გამოყენებას, როგორიცაა ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგების მონაცემთა ბაზა (DEQAR)[10].

ჩვენ მივესალმებით გლობალური პოლიტიკის ფორუმის განცხადების მიღებას და ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს და მის სამუშაო სტრუქტურებს, რომ განაგრძონ დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარება და გაძლიერება მაკრორეგიონებთან სხვადასხვა დონეზე და შესაბამის დაინტერესებულ მხრეებთან. ეს მოიცავს კვალიფიკაციის ჩარჩოებისა და საკრედიტო სისტემების ორმხრივ გამოყენებას, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღიარების შესახებ იუნესკოს გლობალური კონვენციის რატიფიცირებასა და განხორციელებას, ასევე აღიარების შესახებ მეორე თაობის რეგიონულ კონვენციებს და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპების შესაბამისობასა და ურთიერთგაგებას.

ჩვენ ვაღიარებთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყველა ქვეყნის საჭიროებას, რომ გაავრცელონ ცოდნა და ჩაერთონ დიალოგში და მიმდინარე თანამშრომლობაში, რათა უზრუნველყონ უფრო ეფექტური კავშირი პოლიტიკასა და უმაღლესი განათლების საზოგადოებას შორის. ეს ასევე შეიძლება მოიცავდეს საერთაშორისო და ეროვნული ექსპერტების ქსელების შექმნას, რაც უზრუნველყოფს განხორციელებისა და თანამშრომლობის მხარდაჭერას საზღვრებს გარეთ და ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფთან ერთად.

პერსპექტივები

2027 წლის მინისტრთა კონფერენციისთვის, ჩვენ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს გადავცემთ მანდატს, რათა უზრუნველყოს, რომ განხორციელდეს სათანადო მონიტორინგი პოლიტიკის ვალდებულებებზე, რომელთა მიზანია 2030 წლისთვის ინკლუზიური, ინოვაციური და ურთიერთდაკავშირებული უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა ფუნდამენტური ღირებულებების გათვალისწინებით, მათ შორის ბოლონიის პროცესის განხორციელების ანგარიშის მეშვეობით, რომელიც აფასებს ძირითად მოვლენებს. ჩვენ ასევე ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ 2027 წელს წარმოგვიდგინოს წინადადებები შემდეგი ათწლეულის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ, უმაღლეს სასწავლებლებთან, პერსონალთან და სტუდენტებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

[10] ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგების EQAR მონაცემთა ბაზა.

ჩვენ მივესალმებით, რომ სან-მარინომ, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ბოლო წევრმა, ძირითადად განახორციელა შეთანხმებული საგზაო რუკა, რომელიც თან ახლავს მის უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესთან მიერთების დოკუმენტს და მოვუწოდებთ სან-მარინოს, რომ გააგრძელოს იდენტიფიცირებული დარჩენილი რამდენიმე საკითხის განხილვა.

ჩვენ მადლიერებით ვეთანხმებით რუმინეთისა და მოლდოვას რესპუბლიკის შემოთავაზებას, რომ უმასპინძლონ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მომდევნო მინისტრთა კონფერენციას და გლობალური პოლიტიკის ფორუმს 2027 წელს.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ახლა საჭიროა უფრო მყარი სტრუქტურული ღონისძიებები მისი თანმიმდევრული, სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად, ამიტომ ჩვენ:

- ვიღებთ "უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურულ წესებს"[11] და მოვუწოდებთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ დროულად მიიღოს საკუთარი საქმიანობის განახლებული პროცედურული წესები;

- ვავალებთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის, რომ გააგრძელოს მუშაობა გრძელვადიანი, დამოუკიდებელი, საერთაშორისო პერსონალით დაკომპლექტებული სამდივნოს შექმნის შესაძლებლობაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის ეფექტური მხარდაჭერა და შეფასდეს შესაბამისი წინადადებების, მოდელებისა და ტექნიკური პირობების მიზანშეწონილობა და მდგრადობა, რაც წარმოდგენილი უნდა იქნეს 2026 წლის გაზაფხულზე, 2027 წლის მინისტრთა კონფერენციაზე დასამტკიცებლად და განსახორციელებლად;

- ვთანხმდებით, რომ განხორციელდეს არსებული შეთანხმების შეფასება ორი სამუშაო პერიოდის შემდეგ.

ტირანაში აღებული ვალდებულებები

- ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ინკლუზიური, ინოვაციური და ურთიერთდაკავშირებული უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე 2030 წლისთვის რეალობად ვაქციოთ;
- ჩვენ მტკიცედ ვდგავართ უკრაინისა და მისი უმაღლესი განათლების საზოგადოების

[11] იხილეთ დანართი 2.

გვერდით და გადავწყვიტეთ გავაგრძელოთ რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის მონაწილეობის უფლებების შეჩერება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყველა სტრუქტურასა და საქმიანობაში;[12]

- ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ვალდებულებას, რომ დავიცვათ, ხელი შევუწყოთ და გავაძლიეროთ აკადემიური თავისუფლება, როგორც ეს განსაზღვრულია რომის კომუნიკეთი. გარდა ამისა, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ დავიცვათ, გავაძლიეროთ და უზრუნველვყოთ აკადემიური კეთილსინდისიერება, ინსტიტუციური ავტონომია, სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობა უმაღლეს განათლებაში და საჯარო პასუხისმგებლობა უმაღლეს განათლებაზე და ვიღებთ განცხადებას ფუნდამენტური ღირებულებების შესახებ, რომელიც თან ერთვის ამ კომუნიკეს. ჩვენ მივესალმებით ტექნიკური მონიტორინგის ჩარჩოს შექმნის მიზნით განხორციელებულ საქმიანობას და ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ მოგვაწოდოს ანგარიში 2027 წლის მინისტრთა კონფერენციაზე;
- ჩვენ ვასრულებთ ვალდებულებას დავრწმუნდეთ, რომ გვაქვს, ანდა შევიმუშავებთ და გამოვაქვეყნებთ შესაბამის სამოქმედო გეგმებს, რათა აღმოიფხვრას დარჩენილი ხარვეზები და ხელი შეეწყოს ცოდნის გაზიარების საქმიანოაბს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. ჩვენ გადავცემთ მანდატს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ იმუშაოს ძირითადი ვალდებულებების სამომავლო განხორციელებაზე, გავრცელებასა და შესაძლო გაფართოებაზე. გარდა ამისა:

- მოვუწოდებთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ 2027 წლისთვის გადახედოს კრედიტების გადაცემისა და დაგროვების ევროპული სისტემის 2015 წლის მომხმარებელთა სახელმძღვანელოს, გააძლიეროს მისი ძირითადი მახასიათებლები და მოახდინოს მიმდინარე მოვლენებთან ადაპტირება, მათ შორის, გაითვალისწინოს მიკროსერტიფიკატები;
- მოვუწოდებთ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო მითითებების ავტორებს[13], რომ 2026 წლისთვის ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს წარუდგინონ შესწორებული ვერსია, რომელიც მიღებული უნდა იქნეს ჩვენ მიერ 2027 წლის მინისტრთა კონფერენციაზე, ასევე, საჭიროების შემთხვევაში - მოახდინონ ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომის კორექტირება. ჩვენ ასევე ხელს შევუწყობთ მსოფლიო მასშტაბით

[12] ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის შეხვედრის გადაწყვეტილება LXXX 11 აპრილი, 2022, https://www.ehea.info/page-bfug-meeting-80.
[13] ძირითადი ავტორები არიან ENQA, ESU, EUA და EURASHE - E4 ჯგუფი, Business-თან თანამშრომლობით.

უზრუნველყოფილი ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უფრო მძლავრად და გამჭვირვალედ უზრუნველყოფას, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, სტუდენტების ინტერესების დაცვის მიზით;

- ჩვენ მზად ვართ დავუპირისპირდეთ დიპლომებისა და აკრედიტაციების ქარხნებს, ყალბ კვალიფიკაციებს და აკადემიური თაღლითობის სამსახურებს, რაც უფრო ხელმისაწვდომი გახდება ციფრული სფეროს განვითარების შედეგად. ჩვენ ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ ეფექტიანად გამოიყენოს ETINED პლატფორმისა და ENIC-NARIC ქსელების მიერ შესრულებული სამუშაო ამ გამოწვევების გადასაჭრელად და აკადემიური კეთილსინდისიერების დასაცავად;

➢ ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ შევაფასოთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სოციალური ასპექტების გაძლიერების პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების განხორციელებაში მიღწეული პროგრესი[14] და ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის, რომ წარმოადგინოს ანგარიში ამის შესახებ 2027 წელს. გარდა ამისა, ჩვენ მხარს ვუჭერთ დოკუმენტს "უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სოციალური ასპექტების პრინციპების ინდიკატორები და მაჩვენებლები"[15], რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სოციალური ასპექტების პირველ ყოვლისმომცველ და კონსოლიდირებულ ჩარჩოს. ამავდროულად, ჩვენ ხელს შევუწყობთ მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებას შესაბამის ინიციატივებში მონაწილეობით, როგორიცაა "ევროსტუდენტი".

➢ ჩვენ, დაინტერესებულ მხარეებთან და საზოგადოებებთან ერთად, ვიღებთ ვალდებულებას, რომ გავუმკლავდეთ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს, როგორიცაა ცხოვრების ფასის ზრდა და სტუდენტურ საცხოვრებელზე წვდომის სირთულე, რაც გავლენას ახდენს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე და ზოგადად სტუდენტურ ცხოვრებაზე. ჩვენ გავაძლიერებთ ძალისხმევას ლტოლვილების კვალიფიკაციის აღიარების უზრუნველსაყოფად და მათი უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის ბარიერების აღმოსაფხვრელად;

➢ ჩვენ მხარს დავუჭერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ გააძლიერონ მათი წვლილი საზოგადოებაში და ადგილობრივი თემებში, რომლებიც იღწვიან მდგრადი განვითარების მიზნებისთვის და მწვანე ტრანსფორმაციისთვის

[14] https://ehea.info/Upload/Rome_Ministerial_Communique_Annex_II.pdf.

[15] ბმული EHEA-ში უმაღლესი განათლების სოციალური განზომილების პრინციპების ინდიკატორებთან და მაჩვენებლებთან.

უმაღლესი განათლების სფეროში, მუშაობენ დიგიტალიზაციაზე და ფიზიკური და ვირტუალური სწავლისა და სწავლების კომბინირებაზე. ჩვენ ასევე უზრუნველვყოფთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის და კვლევის ევროპული სივრცის სინერგიას;

- ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ ხელი შევუწყოთ მოქნილ სასწავლო საშუალებებს, რომლებიც იქნება მდგრადი, სათანადოდ მიწოდებული, ხარისხიანი და აღიარებული ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ეს ასევე მოიცავს ადრე მიღებული განათლების აღიარებას და განათლების მიწოდების ახალ ფორმებს, როგორიცაა მიკროსერტიფიკატები. ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება რეალობაა ყველა მოსწავლისთვის;
- ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ მხარი დავუჭიროთ ხელოვნური ინტელექტის ეთიკურ, სანდო, პასუხისმგებლიან და უფლებებზე დაფუძნებულ გამოყენებას სწავლისა და სწავლების პროცესში და კვლევის პრაქტიკაში, გამჭვირვალობის, სამართლიანობის, სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ჩვენ ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ განიხილოს ციფრული ტრანსფორმაციის, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცეში უმაღლეს განათლებაზე უფრო ფართო და გრძელვადიანი გავლენა, კერძოდ, ძირითადი ვალდებულებების შესრულების და ბოლონიის პროცესის ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- ჩვენ ვადასტურებთ ვალდებულებას, რომ საშუალებას მივცემთ ყველა მოსწავლეს, შეიძინოს საერთაშორისო და ინტერკულტურული კომპეტენციები და გავაძლიერებთ ძალისხმევას ბარიერების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის, ფიზიკური მობილობის განვითარების ხელშეწყობისთვის და იმისათვის, რომ მობილური სტუდენტების რაოდენობასმ მინიმუმ 20%-ს მიაღწიოს. ჩვენ გადავცემთ მანდატს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ მოამზადოს სამოქმედო გეგმა უმაღლესი განათლების მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის სტიმულირებისთვის და მხარი დაუჭიროს ღონისძიებებს უფრო მწვანე, ინკლუზიური და დაბალანსებული მობილობის მისაღწევად;
- ჩვენ მხარს დავუჭერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შერეული მობილობისა და ვირტუალური გაცვლის პრაქტიკისა და სარგებლის შესწავლაში და სასწავლო გეგმების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობაში. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ მხარი დავუჭიროთ ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას, მათ შორის ერთობლივი პროგრამების განსახორციელებლად და ერთობლივი ხარისხების მისაღებად, ძირითადი ვალდებულებების უკეთ შესრულებით და არასათანადო ადმინისტრაციული და სამართლებრივი ბარიერების აღმოფხვრით;

- ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ვალდებულებას, რომ კვალიფიკაციების და სწავლის პერიოდების ავტომატური აღიარება საზღვარგარეთ ყველა სტუდენტისა და კურსდამთავრებულისთვის რეალობად იქცეს, მივესალმებით უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში კვალიფიკაციების აღიარების სახელმძღვანელოს გადახედვას და ENIC-NARIC ქსელების მიერ შემუშავებული სხვა ინსტრუმენტების გამოყენებას და გავაგრძელებთ ხარისხის უზრუნველყოფისა და გამჭვირვალობის ინსტრუმენტების გამოყენების ხელშეწყობას, როგორიცაა DEQAR.[16]
- ჩვენ მივესალმებით გლობალური პოლიტიკის ფორუმის განცხადების მიღებას და ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს და მის სამუშაო სტრუქტურებს, რომ გააგრძელონ მაკრორეგიონებთან სხვადასხვა დონეზე და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარება და გაძლიერება. ეს მოიცავს კვალიფიკაციების ჩარჩოების და საკრედიტო სისტემების ორმხრივად გათვალისწინებას, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების შესახებ იუნესკოს გლობალური კონვენციის რატიფიცირებას და განხორციელებას, ასევე რეგიონული აღიარების მეორე თაობის კონვენციების და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპების ურთიერთშესაბამებას და ურთიერთგაგებას;
- ჩვენ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს გადავცემთ მანდატს, რომ უზრუნველყოს სათანადო მონიტორინგის განხორციელება პოლიტიკის ვალდებულებების შესრულებაზე, რომელთა მიზანია 2030 წლისთვის ინკლუზიური, ინოვაციური და ურთიერთდაკავშირებული უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა, ფუნდამენტური ფასეულობების გათვალისწინებით, მათ შორის, ბოლონიის პროცესის განხორციელების ანგარიშის მეშვეობით, რომელიც აფასებს ძირითად მოვლენებს;
- ჩვენ ასევე ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ 2027 წელს წარმოგვიდგინოს წინადადებები შემდეგი ათწლეულის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ, უმაღლეს სასწავლებლებთან, პერსონალთან და სტუდენტებთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- ჩვენ ვიღებთ "უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურულ წესებს" და ვთხოვთ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ დროულად მიიღოს საკუთარი საქმიანობის განახლებული პროცედურული წესები; ჩვენ გადავცემთ მანდატს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, რომ გააგრძელოს მუშაობა გრძელვადიანი, დამოუკიდებელი, საერთაშორისო პერსონალით დაკომპლექტებული სამდივნოს შექმნის შესაძლებლობაზე ბოლონიის პროცესის

[16] გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების EQAR მონაცემთა ბაზა.

კონტროლის ჯგუფისთვის ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად და შესაბამისი წინადადებების, მოდელებისა და ტექნიკური ტერმინების მიზანშეწონილობისა და მდგრადობის შეფასების მოსამზადებლად 2026 წლის გაზაფხულისთვის, რომელიც წარმოდგენილი იქნება დასამტკიცებლად და განსახორციელებლად 2027 წლის მინისტრთა კონფერენციაზე; ჩვენ თანახმა ვართ, რომ შევაფასოთ მიღწეული შეთანხმება ორი სამუშაო პერიოდის შემდეგ.

დანართი 1: ფუნდამენტური ღირებულებები – განცხადებები.

დანართი 2: უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურული წესები.